სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა, შესრულების პროცედურები და სტანდარტები

სამაგისტრო ნაშრომის ზოგადი აღწერილობა

მაგისტრის ხარისხის მისაღებად განკუთვნილი 120 კრედიტიდან 20-30 კრედიტი ეკუთვნის სამაგისტრო ნაშრომს.

სამაგისტრო ნაშრომი უნდა ასახავდეს მაგისტრანტის მიერ ხელმძღვანელის დახმარებით ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას სპეციალიზაციის სფეროში.

მაგისტრანტი და ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომის თემას განსაზღვრავენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თემის დასამტკიცებლად აუცილებელია საკვლევი თემის პროსპექტუსის წინასწარი განხილვა და დამტკიცება კომისიის მიერ.

ხელმძღვანელის უფლებები და მოვალეობები

ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში კვლევის გამოცდილება.

მაგისტრანტი ხელმძღვანელს ირჩევს პროგრამის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მესამე სემესტრის დასაწყისში.

ხელმძღვანელის ფუნქციაა დაეხმაროს მაგისტრანტს თემის შერჩევაში არქიტექტონიკის (თემის მოკლე გეგმის) შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში. ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და დაეხმაროს მაგისტრანტს კვლევის სწორად წარმართვაში, გაეცნოს პროსპექტუსს და დაადასტუროს რომ მაგისტრანტს სწორი გეგმა აქვს შემუშავებული სამაგისტრო თემაზე მუშაობის გასაგრძელებლად. ხელმძღვანელმა ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს დასკვნა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მაგისტრანტის ვინაობა და ნაშრომის სათაური,
- ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნა,
- რეკომენდაცია ნაშრომის კომისიის წინაშე წარსადგენად.

ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე მუშაობის პროცესში და სათანადო არგუმენტაციით მიმართოს სკოლის დეკანს. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას დროის ფაქტორი, რათა მაგისტრანტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა შეძლონ დროულად რეაგირების მოხდენა.

რეცენზენტი

რეცენზენტად შეიძლება შეირჩეს პირი, ვისაც სამაგისტრო თემის დარგში/მონათესავე დარგში აქვს აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი განათლება და სამუშაო გამოცდილება. თემის წაკითხვის შემდეგ, დაცვამდე სულ მცირე 5 დღით ადრე რეცენზენტი წარმოადგენს წერილობით დასკვნას სამაგისტრო ნაშრომის შეფასებით.

პროსპექტუსი

პროსპექტუსი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ვრცელ გეგმას. იგი დაახლოებით 5-7 გვერდია და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

● კვლევის მიზანი
● კვლევის საგანი ან კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის განსაზღვრა (სამართლის პროგრამის სტუდენტებისათვის)
● თემის აქტუალობა, პრაქტიკული მნიშვნელობა და/ან სამეცნიერო სიახლე
● ჰიპოთეზა
●ძირითადი არგუმენტები და კონტრარგუმენტები
● სავარაუდო დასკვნები
● ბიბლიოგრაფიის საწყისი ჩამონათვალი

სტრიქონებს შორის დაშორება 1.5, არე სტანდარტული, შრიფტი 12, აკადნუსხური. ნაშრომის ინგლისურად შესრულების შემთხვევაში დაშორება არის 1.5, შრიფტი 12, არიალი.

სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები და სტანდარტები

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი სავალდებულო პუნქტებისაგან:
● თავფურცელი (ინსტიტუტი, სკოლა, სამაგისტრო პროგრამის დასახელება, ნაშრომის სათაური, მაგისტრანტის გვარი სახელი, ხელმძღვანელის გვარი სახელი, წელი)
● სარჩევი (თანმიმდევრულად აისახება ნაშრომის სრული ტექტის თავებისა და ქვეთავების, (თუ ასეთი არსებობს), დასახელება საწყისი გვერდების ნომრების მითითებით)
● შესავალი (ამ ნაწილში აისახება თემის მიზანი, კვლევის საგანი, სიახლე, აქტუალობა, ჰიპოთეზა, კვლევის მეთოდები)
● ნაშრომის ძირითადი ნაწილი ასახავს თემის შინაარსს და იყოფა თავებად და ქვეთავებად. (თუ საჭიროა)
ა) ჰიპოთეზის განხილვა (თემის კვლევის საგნის განხილვა სამართლის პროგრამის შემთხვევაში)
ბ) მთავარი არგუმენტები და კონტრარგუმენტები (სამართლებრივი არგუმენტები და კონტრარგუმენტები სამართლის პროგრამის შემთხვევაში)
გ) გამოყენებული ლიტერატურის (ემპირიული მონაცემების, ფაქტობრივი მასალის) განხილვა ზემოთხსენებულ არგუმენტაციასთან მიმართებაში. სამართლის პროგრამის შემთხვევაში სამართლებრივი თეორიების და კონცეფციების, კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის განხილვა.
დ) ანალიზი.
● დასკვნა. (ამ ნაწილში აისახება კვლევისა და ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები, შესაბამისად თემაში დასმული ჰიპოთეზის პასუხიც, დამტკიცება ან უარყოფა) დასკვნა შესაძლოა ასევე შეიცავდეს ზოგად/კონკრეტულ რეკომენდაციებს სამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით.
● რეკომენდაციები (თუ ამის საჭიროება არსებობს)
● სქოლიოები (ფუტნოუტები) ჩიკაგოს სტილი.
● გამოყენებული ლიტერატურა/ბიბლიოგრაფია: უნდა დალაგდეს ანბანური თანმიმდევრობით აკადემიური წერის სტანდარტის შესაბამისად:

სტატია: ავტორის გვარი, ინიციალი, სრული სათაური. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, ნომერი, გვ. დასაწყისი - დასასრული.
სამეცნიერო კრებული: კონკრეტული ავტორის (ან ავტორთა კოლექტივის) გვარი, ინიციალი , სტატიის სრული სათაური. კრებულის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, გამომცემლობა, ტომი, ნომერი, გვ. დასაწყისი - დასასრული.
წიგნი: ავტორის გვარი, ინიციალი, სრული სათაური, გამოცემის ადგილი,
გამომცემლობა, წელი, (ტომი), გვერდების რაოდენობა გვ.
ინტერნეტრესურსი: ვებ–გვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა
გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.
მაგ: 1. **http://patft.uspto.gov/netacgi/doc.html,** უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.03.2010.

● დანართები (თუ ასეთი არსებობს ნაშრომს დაერთვის ბიბლიოგრაფიის შემდეგ, დანართის სახით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ინტერვიუ ექსპერტებთან, დიაგრამები, სტატისტიკური მონაცემები, ცხრილები, საილუსტრაციო მასალა და ა შ)

● გამოყენებული შრიფტი არის აკადნუსხური, ზომა 12, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1,5. არე სტანდარტული, ნაშრომის გვერდები თავფურცელის გარდა ინომრება. ინგლისურად შესრულების შემთხვევაში დაშორება არის 1.5, შრიფტი 12, არიალი.

● სამაგისტრო თემის მინიმალური მოცულობაა 40 გვერდი, მაქსიმალური 60, დანართებისა და ბიბლიოგრაფიის გარეშე.

● ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე, ორთოგრაფიული, გრამატიკული და სტილისტური წესების დაცვის გათვალისწინებით.

● ნაშრომში გამოყენებული ციტირებები უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე თუ სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართულად.

დაცვამდე სამი კვირით ადრე სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონული ვერსია ეგზავნება პროგრამის კოორდინატორს, ხოლო დაბეჭდილი, აკინძული სახით ინახება პროგრამის არქივში. სამაგისტრო ნაშრომს უნდა ერთვოდეს ხელმძღვანელისა და ერთი რეცენზენტის წერილობითი დასკვნები.

გადაწყვეტილებას რეცენზენტის შერჩევის თაობაზე იღებს აკადემიური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელი.

სამაგისტრო თემაში პლაგიატიზმის შემთხვევაში ავტომატურად იწერება შეფასება F.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

დაცვა ხდება საჯაროდ, სკოლის მიერ დადგენილი წესით შერჩეული კომისიის წინაშე.

სამაგისტრო თემის დაცვა ხდება პრეზენტაციის სახით რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15-20 წუთს, 5-10 წუთი ეთმობა შეკითხვებს კომისიის წევრების მხრიდან. (თემის პრეზენტაცია უნდა გაკეთდეს Power Point-ის პროგრამის დახმარებით)

დაცვის პროცედურა უნდა ემყარებოდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპს.

შეფასება ხდება კომისიის თითოეული წევრის მიერ წერილობით 100% ქულიანი შეფასებით. კომისია შედეგება მინიმუმ 3 წევრისაგან. პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი, თემის რეცენზენტი ან მოწვეული ლექტორი ან შესაბამისი დარგის სპეციალისტი. იმ შემთხვევაში თუ პროგრამის აკადმეიური ხელმძღვანელი იმავდროულად სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი ან რეცენზენტია კომისიის

შემადგენლობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს თემის საგანთან დაკავშირებულმა ლექტორმა ან სპეციალისტმა.

რეცენზენტის შეფასება - 40 %, ხოლო კომისიის დანარჩენი წევრების 60%.

ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება კომისიის ყველა წევრის შეფასების შეჯამების საფუძველზე.

სამაგისტრო თემის შეფასებისას ყურადღება ეთმობა ნაშრომის ტექნიკურ მხარეს, (მართლწერა, სტილისტური გამართულობა, გამოყენებული წყაროების მითითების სიზუსტე და სანდოობა), შინაარსობრივ მხარეს, (შინაარსის თანმიმდევრულობა, სრულყოფილება, დასაბუთებული არგუმენტები და კონტრარგუმენტები, დასკვნების შესაბამისობა დასმულ კვლევის კითხვასთან ან ჰიპოთეზასთან მიმართებაში) პრეზენტაბელურობას.

თემის შეფასების კონკრეტული კრიტერიუმებია: ანალიზი, სამართლებრივი არგუმენტაცია 25%, თემის აქტუალობა 15%, თემის ფორმალურ ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობა 10%, ორიგინალობა 10%.

თუ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება 41-50 ქულით განმეორებითი დაცვა ინიშნება იმავე სემესტრში. 41 ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი გადაიხდის სავალდებულო ჯარიმას და თემას დაიცავს შემდეგ სასწავლო წელს.

a) 7. **სადიპლომო ნაშრომი და მისი აღდგენა/გასაჩივრების პროცედურა:**
b) 7.1 სტუდენტს უფლება აქვს გადაიტანოს სადიპლომო ნაშრომის დაცვის თარიღი, რისთვისაც მან წერილობითი ფორმით უნდა მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას.
c) 7.2 სადიპლომო ნაშრომის დაცვის ახალ თარიღს აწესებს ადმინისტრაცია შემოდგომის ან ზამთრის სემესტრის დასაწყისში.
d) 7.3 სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს სადიპლომო ნაშრომის შეფასება შეფასების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში სკოლის ადმინისტრაციისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით.
e) 7.4 შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში ადმინისტრაცია ვალდებულია განსაზღვროს დამატებითი რეცენზენტი და გადაუგზავნოს ნაშრომი დამატებითი შეფასებისათვის. დამატებითი რეცენზენტის არჩევისას მოქმედებს ამ დებულებით გათვალისწინებული წესები.
f) 7.5 დამატებითი რეცენზენტის შეფასება დაემატება სადიპლომო ნაშრომის დაცვის კომისიის დაჯამებულ ქულებს სადიპლომო ნაშრომის საბოლოო შეფასების მისაღებად.
g) 7.6 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ დაეთანხმება დამატებითი რეცენზენტის ქულას და საბოლოო შეფასებას, სტუდენტს უფლება აქვს შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს. სტუდენტი ვალდებულია

განცხადებაში ზუსტად ასახოს და დაასაბუთოს რა საფუძვლების გამო არ ეთანხმება სადიპლომო ნაშრომის შეფასებას.

h) 7.8 უნივერსიტეტის რექტორი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, რექტორი ნიშნავს მეორე დამატებით რეცენზენტს, რომლის შეფასების საფუძველზე მიღებული სადიპლომო ნაშრომის შეფასება საბოლოოა.